N 1
29/01/2019

1-07-4-201901290949

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის
ოქმი N1

ქ. ლანჩხუთი 25. 01. 2019 წელი

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ფაცურია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი მამუკა ვადაჭკორია, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადების საფუძველზე, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი მ. ვადაჭკორია/

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგს:

კენჭისყრას ესწრებოდა 17 დეპუტატი.

მომხრე 17 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი;

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ცისანა ურუშაძე.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ.**

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი აკაკი იმნაიშვილი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ 2018 წლის 29 ოქტომბრის N1994 განკარგულებით ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტების დაფინანსების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამოეყო სკოლების რეაბილიტაციისათვის 102719.16 ლარი მათ შორის: ჩიბათის საჯარო სკოლის (ჭალის სკოლა) 39810,30 ლარი და ნინოშვილის საჯარო სკოლის 62908,86 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1608425 ლარი, მათ შორის: ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულში ეგნატე ნინოშვილის სახლ მუზეუმთან მისასვლელი გზის აღდგენის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოეყო 300598 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 15822 ლარი, გვიმბალაურის, ღრმაღელის, სუფსის და ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოებზე ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოიყო 1307827 ლარი და საკუთარი სახსრებიდან 68833 ლარი.

2018 წლის 18 იანვრის საქართველოს მთავრობის N136 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელ 698289 ლარიდან 208299 ლარი მიიმართოს გზების კაპიტალურ შეკეთებაზე, საკუთარი სახსრებიდან დასაფინანსებელია 45483 ლარი. კაპიტალური დაბანდებებზე სპორტის სფეროში (საფეხბურთო აკადემიის რეაბილიტაციისათვის) 478210 ლარი, საჭადრაკო სკოლის რეაბილიტაცია 11780 ლარი. ხოლო 18663 ლარი მიიმართოს საკუთარი სახსრებიდან. ჭადრაკის სახლის პირველ სართულზე ორი ოთახის რეაბილიტაცია საკუთარი სახსრებიდან 1715 ლარი.

2018 წლის 17 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1622 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩამორიცხული თანხიდან აუთვისებელი 254391 ლარიდან გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიიმართოს 253454 ლარი, 750 ლარი მიიმართოს სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია-ექსპლოატაციაზე, ხოლო 187 ლარი სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე.

2018 წლის 01 აგვისტოს საქართველოს მთავრობის N1468 განკარგულებიდან სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით აუთვისებელი 1593 ლარიდან ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაციაზე (ადმ.შენობები) მიიმართოს 1240 ლარი, სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია და მშენებლობა 353 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის N45 განკარგულებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 374000 ლარი.

საქართველოს მთავრობუის 2019 წლის18 იანვრის N13 განკარგულებით გამოეყო 120390 ლარი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების განსახორციელებლად.

გურიის ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიიმართოს 6390 ლარი.

მუნიციპალიტეტის ოფისის ხარჯი გაიზარდოს 25000 ლარით, მათ შორის მოხმარებული წყლისა და გაზის ხარჯის დაფინანსებაზე 8000 ლარი, მცირე ფასიანი ინვენტარის შეძენისთვის 17000 ლარი.

ა(ა)იპ სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის წერილის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა სხვა ხარჯის 23600 ლარი და საქონელი და მომსახურების მუხლის 54320 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების ფონდი 77920 ლარით საპენსიო ფონდის შენატანისათვის.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების წერილის საფუძველზე დამატებით გამოეყოს 5150 ლარი.

აღნიშნული აუთვისებელი და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსება უნდა განხორციელდეს მუნიციპლაიტეტის ბიუჯეტში არსებული ნაშთის ხარჯზე.

საკრებულოს წევრი **იოსებ ჩხაიძე** დაინტერესდა, თუ რატომ დარჩა აუთვისებელი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხებიდან 254391 ლარი და 1593 ლარი, მაშინ როცა ზემოაღნიშნული ღონისძიებები სრულად არ არის ჩატარებული.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი ამირან ქანთარია.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით ჯერ კიდევ მიმდინარეობს გარკვეული ტიპის სამუშაოები, რომელთა ანაზღაურება ვერ მოხდება, თუ არ იქნება წარმოდგენილი დაწყებული პროექტების მიღება-ჩაბარების აქტი და სანამ არ აისახება ამ თანხების მიზნობრიობა ბიუჯეტში.

მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** აქვე შენიშნა, რომ რიგი პროექტები დასრულდა დეკემბრის თვის ბოლოს და ვერ მოესწრო მათი დაფინანსება, რადგანაც ბიუჯეტში ამ კუთხით ცვლილებების შეტანაა საჭირო.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა, **როლანდ ლაშხიამ** აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული სამუშაოები შემსრულებლების მიზეზით ვერ დასრულდა დროულად და შესაბამისად ვერ მოხდა ამ მიზნით გამოყოფილი თანხების ათვისება.

ყველა ტიპის სამუშაოს ახლავს კალენდარული ვადა, აგრეთვე გარკვეული პროცედურები, რომელთა გავლის შემდეგ ხდება მათი ანაზღაურება.

საკრებულოს წევრი **აკაკი იმნაიშვილი** დაინტერესდა, რა პრიორიტეტებით იქნა შერჩეული რეაბილიტაციისათვის ჩიბათის(ჭალის) და ნინოშვილის საჯარო სკოლები. მისი თქმით, წინა მოწვევის საკრებულოდან დღემდე, საკრებულოს თითქმის ყველა სხდომაზე ამახვილებდა ყურადღებას შუხუთის საჯარო სკოლის შენობის ავარიულ მდგომარეობაზე. ის უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ მის თხოვნას შუხუთის საჯარო სკოლისთვის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების საჭიროების თაობაზე რეაგირება არ მოყოლია.

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** მოითხოვა, გამოიყოს კომისია, რომელიც შეისწავლის შუხუთის სკოლის მდგომარეობას და დასკვნას გადასცემს შესაბამის სამსახურს რეაგირებისათვის.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** მოიწონა წინადადება კომისიის შექმნის თაობაზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 20 საკრებულოს წევრი.

მომხრე 20 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N1 (25.01.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ.** მან აღნიშნა, რომ „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 10 ოქტომბრის N784 ბრძანებულების პირველი მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად, მიწის ნორმატიულ ფასს საბაზრო ღირებულების გათვალისწინებით წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, ადგენენ შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანოები – საკრებულოები. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24–ე ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კი საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება საქართველოს

მთავრობის მიერ დადგენილი წესით მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნორმატიული ფასის დადგენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვრა შემდეგნაირად:

მუხლი 1. სახელმწიფო და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში „მიწის ნორმატიული ფასი“) გამოანგარიშდება შემდეგი ფორმულის მიხედვით: CN =IMGX ITL X CX K, სადაც:

1. CN არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი.
2. IMG არის ქ. ლანჩხუთის მიკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც უდრის 0,38-ს;
3. ITL არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის ერთს.
4. C არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.
5. K არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა შეადგენს 100.

მუხლი 2. პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ლანჩხუთის მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით: CN =0,38 X1 X 0,24 X 100=9,12.

მუხლი 3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 35%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 3,19 ლარს.

მუხლი 4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 2,28 ლარს.

მუხლი 5. სოფელ მალთაყვიდან მდინარე სეფისწყალამდე შავი ზღვის ნაპირიდან 500 მეტრის რადიუსში არსებულ დასახლებებში და დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქალაქ ლანჩხუთის დადგენილი ფასის 100%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 9,12 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3, მე-4 და მე-6 მუხლებით დადგენილი ნორმები.

მუხლი 6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №407 დადგენილებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს), გარდა დანართის მე-2 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული ტერიტორიებისა, მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს ქ. ლანჩხუთში დადგენილი მიწის ნორმატიული ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4,56 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება ამ წესის მე-3–მე-5 მუხლებით დადგენილი ნორმები.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი გვარჯალაძე** დაინტერესდა, თუ რატომ არის ერთი და იგივე მიწის ნორმატიული ფასი მუნიციპალიტეტის სხვადასხვა უბნებში.

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელმა **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ არის ქალაქები, სადაც მიწის ნორმატიული ფასი განსაზღვრულია უბნების მიხედვით, სამწუხაროდ ლანჩხუთი არ არის მათ შორის.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ** გამოთქვა მოსაზრება, რომ ავტობანის მშენებლობის დასრულების შემდეგ შესაძლოა უბნების მიხევით შეიცვალოს მიწის ნორმატიული ფასი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 20 საკრებულოს წევრი.
მომხრე 20 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;

მიღებულ იქნა განკარგულება N2 (25.01.2019)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **მამუკა ვადაჭკორიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას მიმდინარე წლის 09 იანვარს N5/896 წერილით მომართა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ბატონმა გიორგი დუგლაძემ, რომელმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით ითხოვა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა განიხილოს მის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომანქანა - „ტოიოტა-ლენდკრუიზერ-პრადო“, სახელმწიფო NXGX - 772, საიდენტიფიკაციო NJTEBY25J800069349), სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება, აღნიშნული კანონით დადგენილი წესით, მიიღოს გადაწყვეტილება, მუნიციპალიტეტის ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 20 საკრებულოს წევრი.

მომხრე 20 საკრებულოს წევრი, წინააღმდეგი არცერთი;
მიღებულ იქნა განკარგულება N3 (25.01.2019)

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო